სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/06

ქ. თბილისი 17 მარტი 2023

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების პროექტის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების 48-ე მუხლის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2023 წლის 1 მარტის №01-05-04/23 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2023 წლის 17 მარტის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N133/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების პროექტი დანართებთან ერთად, რომელიც ეხება უნივერსიტეტის ახალი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების - ემბლემისა და დროშის შემოღებას და მათი გამოყენების წესის დამტკიცებას. აგრეთვე, აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს უნივერსიტეტის ახალი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - მედიცინის ფაკულტეტის შექმნასა და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობის გათვალისწინებით, პროფესორის და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე პირის არჩევის ვადებისა და ატესტაციის თაობაზე წესდების შესაბამის ნორმებში ცვლილებების შეტანას;
2. პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**